საინტერესო მატჩი ჩემპიონთან

23 მაისის მატჩი თბილისისა და კიევის დინამოელთა შორის დიდად სცილდებოდა ტურის ცენტრალური შეხვედრის ჩარჩოებს. ლიდერთა შეხვედრა სამასშტაბო იყო არა მარტო ამ დღის, არამედ მთელი ჩემპიონატისთვის და ქართველი და უკრაინელი ფეხბურთელების თამაშმა თავისი შინაარსით, სიღრმით გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი, დიდ ხომალდს, როგორც იტყვიან, დიდი ცურვა ჰქონდა.

ამ ბოლო ხანებში ბევრს წერენ თბილისის "დინამოს" შესახებ. წერენ, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა დაიბრუნა თავისი ტრადიციული, კანონიერი ადგილი საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში, რომ მისი თამაში უფრო მრავალფეროვანი და თანამედროვე გახდა, რომ უცხო მინდვრის ფაქტორი, რომელიც ათეული წლების მანძილზე მძიმე ტვირთად აწვა ჩვენს გუნდს და დაკარგული ქულების უმთავრეს "ბაზას" წარმოადგენდა, მხოლოდ უსიამოვნო მოგონების ობიექტად იქცა.

რაშია საქმე? სეზონის პირველ მატჩებში ხომ თბილისელები საკმაოდ უხეიროდ თამაშობდნენ? საიდან მოხდა ასეთი მეტამორფოზა, ასეთი მკვეთრი ცვლილება?

მართალია, ჩვენი ფეხბურთელები ფორსირებული წესით შევიდნენ ფორმაში და თითოეული მათგანის საბრძოლო კონდიციები საკმაოდ ჩქარა მოვიდა საჭირო ნორმაში, მაგრამ მთავარი მაინც ეს არ უნდა იყოს. ბევრი რამ ტაქტიკურ სიახლეებში უნდა ვეძიოთ.

ყველაფერს უფროს მწვრთნელს ვერ მიაწერ. შეუძლებელია ერთ კაცს ასე სახელდახელოდ მოეწესრიგებინა ყველაფერი. მაგრამ ფაქტია, რომ ვ. სოლოვიოვის ხელში თამაშის ორგანიზაცია, მოთამაშეთა განლაგება და რგოლების ურთიერთმოქმედება გაცილებით უფრო დახვეწილი, რაციონალური, აზრიანი გახდა და სათამაშო დისციპლინა განმტკიცდა. ეს, პირველ ყოვლისა დაცვას ეხება.

გაიხსენეთ ჩემპიონატის პირველი 4 მატჩი ჩვენს სტადიონზე. "დინამო" თამაშობდა წმინდა ბრაზილიური სისტემით 4-3-4. პირველი გასვლა ქუთაისში და დინამოელთა განლაგებამ სახე შეიცვალა: მის შემადგენლობაში 5 ნამდვილი მცველი გამოჩნდა. მინსკში, ლენინგრადში, ერევანში, ბაქოში თბილისელთა დაცვაში ეს რაოდენობა არ შეცვლილა, მაგრამ მხოლოდ მცველთა რაოდენობის მექანიკური გაზრდა, რასაც ახლა ბევრი გუნდი აკეთებს, საქმეს არ უშველიდა. "ბეტონი" არაა თბილისის "დინამოს" პროფილი, მისი არსი. ჩვენი გუნდის სული და გული ყოველთვის იყო, არის და ალბათ, მომავალშიც იქნება, შეტევა, აგრესია.

5 მცველი თბილისის "დინამოში"! ეს ახალი, უცხო ამბავია ჩვენთვის, მაგრამ მან ნაყოფი გამოიღო იმის წყალობით,, რომ მცველის როლი მოთამაშისთვის მთელ რიგ შემთხვევებში ნომინალურია და ფეხბურთელი, რომელსაც ზურგზე აწერია N5 ან N6, ფაქტიურად შემტევი ერთეულის, იერიშის დამამთავრებელის ფუნქციებს ასრულებს.

საერთაშორისო ფეხბურთში ეს სიახლე არაა. ასე თამაშობს მსოფლიოს ბევრი საუკეთესო გუნდი, ასე თამაშობს ჩვენი ჩემპიონი _ კიევის "დინამო" და ასე თამაში დავიწყეთ ჩვენც.

დასაძრახი აქ არაფერია. ვ. სოლოვიოვმა ხარკი კი არ გადაუხადა მოდას, რომელიც უზომო ლტოლვას განიცდის დაცვითი ტაქტიკისადმი, მან არჩია გამოიყვანოს ხუთივე ძლიერი, მაღალკვალიფიციური მცველი, მაგრამ სულ სხვა, ახლებური დავალებით ათამაშოს ისინი.

კიეველებთან მატჩში ჩვენს განაპირა მცველებს ბ. სიჭინავას და ცხოვრებოვს შეუცვალეს ადგილები შესაბამისად იმისა, რომ ცხოვრებოვს დაეჭირა სწრაფი ხმელნიცკი, ხოლო ბ. სიჭინავას _ აგრესიული სერებრიანიკოვი. ხურცილავა კიეველთა მთავარი დისპეტჩერის ბიბას წინააღმდეგ თამაშობდა და ამიტომ თითქმის მინდვრის შუაგულში მოქმედებდა. შერგელაშვილს ჩააბარეს ბიშევეცი, ხოლო ჭელიძე უმთავრესად "მწმენდელის" როლში გამოდიოდა. ამ 5 მცველიდან რამდენიმეს ყოველთვის ჰქონდა საშუალება წინა პოზიციაში გადაენაცვლა და გ. სიჭინავასთან და დათუნაშვილთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა შეტევაში.

სწორედ ასეთი ტაქტიკის მეშვეობით გადიოდნენ იერიშზე ცხოვრებოვი, ბ. სიჭინავა, ხურცილავა. სწორედ ასეთი თავისუფალი მანევრის შედეგი იყო ხურცილავას უბრწყინვალესი გოლი, რომელზეც 23 მაისს თბილისის "დინამოს" ტრიბუნაზე მსხდომნი, ალბათ, სიბერეში თავიანთ შვილიშვილებს მოუყვებიან, როგორ იქნა იგი გატანილი.

თავდასხმაში შესანიშნავი იყო მეტრეველი. იგი ჭეშმარიტად თავის სტიქიაში იმყოფებოდა. მთელ მინდორზე თამაშობდა და რომ ნოდიასა და მაისურაძეს ღირსეული პარტნიორობა გაეწიათ მეტრეველისთვის, მას არ დასჭირდებოდა თამაშის მთელი სიმძიმის თავის მხრებზე გადატანა გუნდის ავანპოსტზე.

მაყურებელს ალბათ, ცუდი შთაბეჭდილება დარჩა ჩვენი გუნდის თამაშზე მეორე ტაიმში. მართალია! დინამოელებმა, უფრო კონკრეტულად _ ნახევარმცველებმა მთლიანად ჩააბარეს მოწინააღმდეგეს ინიციატივა შუა მინდორში და ეს კიეველთათვის ისეთი კოზირია, რომელსაც შეუძლია მათ სასარგებლოდ გადაწყვიტოს თამაშის ბედი. შუა მინდორში ქმნიან ისინი საფუძველს შეტევისთვის, რთული, მრავალსაფეხურიანი კომბინაციებით თუ ინდივიდუალური გარღვევებით, სწორედ აქ წყდება უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ჩანაფიქრები. თბილისელებმა დათმეს შუა მინდორი, თავდასხმაში ვერ შექმნეს რამდენადმე მაინც ხანგრძლივი იერიში და მხოლოდ მოკლე კონტრშეტევებით კი ვერ გამოგლიჯეს სტუმრებს საერთო ინიციატივა. მეორე 45 წუთის მანძილზე საჭირო იყო გაცილებით უფრო მეტი აქტივობის გამოჩენა. მეტი საპასუხო თამაში, რომ კიეველებს მდგომარეობის ბატონ-პატრონად არ ეგრძნოთ თავი.

ჩემპიონმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა: გუნდის თითოეული წევრი საუცხოოდაა ფიზიკურად მომზადებული და თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია, მაგრამ ის ხელჩართული "მიტინგი", რომელიც მათ გამართეს თბილისელთა კარში არჩათვლილი გოლის გამო, არ ეკადრება ესოდენ მაღალი ტიტულის მქონე გუნდს, მით უმეტეს, რომ თამაშგარე მდგომარეობა აშკარა იყო.

ბ. ქორქია.
"ლელო", 25 მაისი, 1967 წ.

23 მაისის მატჩში კიევის "დინამოსთან" უკანასკნელად ჩაიცვა თბილისის დინამოელთა საბრძოლო ფორმა ჩვენმა შესანიშნავმა ფეხბურთელმა ვლადიმერ ბარქაიამ. ფეხბურთელებმა ხელზე აყვანილი გამოიყვანეს ვეტერანი მინდვრიდან, ხოლო მაყურებლებმა ტაშის გრიალით გააცილეს იგი. მაგრამ ვ. ბარქაიას კავშირი მშობლიურ კოლექტივთან არ წყდება, მას წინ ისეთივე საინტერესო გზა აქვს, როგორიც ადრე გაუვლია. იგი მწვრთნელად დარჩა გუნდში და ახალი თაობის აღზრდაზე უნდა იზრუნოს.

იმედი გვაქვს, დიდი გამოცდილების მქონე, გონებამახვილი და გამჭრიახი ფეხბურთელი პირნათლად შეასრულებს ამ რთულ და საპატიო მოვალეობას.

"ლელო", 25 მაისი, 1967 წ.